



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №104

2013 წლის 11 ივლისი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

ინტელექტუალურ თამაშ „რა, სად, როდის?“ რესპუბლიკურ ტურნირში ხაშურის ნაკრები გუნდის „დებიუტანტების“ მონაწილეების ქ. თბილისში, გამგზავრების მიზნით 2013 წლის 5 ივლისს გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA130014726 რომელსაც 11 ივლისს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება იგეგმება 13 და 14 ივლისს, მონაწილეების სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის საფუძველზე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 11 ივლისის N2407 მოხსენებითი ბარათის, რომლის მიხედვით ღონისძიება იგეგმება 2013 წლის 13-14 ივლისს, თანახმად:

1. განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის ინტელექტუალურ თამაშ „რა, სად, როდის?“ რესპუბლიკურ ტურნირში ხაშურის ნაკრები გუნდის „დებიუტანტების“ მონაწილეების მარშრუტით ქალაქი ხაშური - ქ. თბილისი და უკან საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

